ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N2

დაბა ქედა **25 აგვისტო, 2020 წელი.**

სხდომა დაიწყო 18:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 18:40 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ოთარ ხარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
არჩილ გორგილაძე - კომისიის წევრი
ზურაბ თავდგირიძე - კომისიის წევრი
ბადრი შავლიძე - კომისიის წევრი
ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი

სხდომას არ ესწრებოდნენ:
რამინ ბერიძე - კომისიის წევრი
თემურ ავალიანი - კომისიის წევრი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

25.08.2020 წელი

№	სახელი გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ბადრი შავლიძე	კომისიის წევრი	
3	არჩილ გორგილაძე	კომისიის წევრი	
4	თემურ ავალიანი	კომისიის წევრი	
5	ზურაბ თავდგირიძე	კომისიის წევრი	
6	რამინ ბერძე	კომისიის წევრი	
7	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების ინსტრუქციისა და შესაბამისი ფორმების დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.

2. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.

1. მოისმინეს: ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების ინსტრუქციისა და შესაბამისი ფორმების დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წაუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინიციირებული ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების ინსტრუქციისა და შესაბამისი ფორმების დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი (შემოსული დოკუმენტი:№74/04;19.08.2020 წელი) და განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 აგვისტოს №31 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების ინსტრუქციისა და შესაბამისი ფორმების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე. განკარგულების შესაბამისად დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისაში მოსაზრებების წარდგენის ვადად განისაზღვრა 2020 წლის 24 აგვისტო დღის 16:00 საათამდე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში შენიშვნები და მოსაზრებები არ წარმოდგენილა.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების ინსტრუქციისა და შესაბამისი ფორმების დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

2. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარმოუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულებაში ცვლილებების პროექტი (შემოსული დოკუმენტი: №74/04;19.08.2020 წელი) და განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 აგვისტოს №32 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე. განკარგულების შესაბამისად დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისაში მოსაზრებების წარდგენის ვადად განისაზღვრა 2020 წლის 24 აგვისტო დღის 16:00 საათამდე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში შენიშვნები და მოსაზრებები არ წარმოდგენილა.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე